05/07/2020

ილია მეორე კელი დეგნანს აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს – გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება თქვენი ქვეყნისადმი თანადგომისთვის, რაც წლებია, ხორციელდება საქართველოს დასახმარებლად და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე საქართველოში აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, კელი დეგნანს აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.

„თქვენო აღმატებულებავ, გულითადად გილოცავთ აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს და ამასთან დაკავშირებით, გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება და პატივისცემა თქვენი ქვეყნისადმი იმ თანადგომისთვის, რაც წლებია, ხორციელდება საქართველოს დასახმარებლად და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და რაც უაღრესად

მნიშვნელოვანია ჩვენი სახელმწიფოსთვის.

გვინდა, აღვნიშნოთ ისიც, რომ ვიმედოვნებთ, დღეს, როდესაც მსოფლიო საყოველთაო განსაცდელის წინაშე დგას, სწორედ აშშ-ისა და, რა თქმა უნდა, საერთო ძალისხმევითაც, პრობლემები დაიძლევა და ღმერთი მოწყალებისა მოხედავს კაცობრიობას.

შევთხოვთ უფალს, მშვიდობა და კეთილდღეობა არ მოაკლოს თქვენს ქვეყანასა და მსოფლიოს“, – აღნიშნულია ილია მეორის მილოცვაში.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378, 2989540

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

მის აღმატებულებას, აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, ქალბატონ კელი დეგნანს

თქვენო აღმატებულებავ,

გულითადად გილოცავთ აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს და ამასთან დაკავშირებით გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება და პატივისცემა თქვენი ქვეყნისადმი იმ თანადგომისთვის, რაც წლებია ხორციელდება საქართველოს დასახმარებლად და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი სახელმწიფოსთვის.

გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ვიმედოვნებთ, დღეს, როდესაც მსოფლიო საყოველთაო განსაცდელის წინაშე დგას, სწორედ აშშ-ისა და, რა თქმა უნდა, საერთო ძალისხმევითაც, პრობლემები დაიძლევა და ღმერთი მოწყალებისა მოხედავს კაცობრიობას.

შევთხოვთ უფალს, მშვიდობა და კეთილდღეობა არ მოაკლოს თქვენს ქვეყანასა და მსოფლიოს.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

04.07.2020.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378, 2989540

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

To Her Excellency, Ambassador Extraordinary and Plenipotentiary

Of the United States of America,

Mrs. Kelly C. Degnan

Your Excellency,

We cordially congratulate you on the Independence Day of the USA, and in connection with it, we would like to express our deep appreciation and respect towards your country for the support the United States has extended to Georgia and to her territorial integrity for many years now. This is an issue of paramount importance for our country.

In addition, we would like to mention that, today, when the world has to face a global trial, we hope that precisely with the help of the efforts of the USA and, of course, of the common efforts of the world society, the problems will be overcome and God will have mercy on humankind.

We implore the Lord that He might bestow peace and prosperity upon your country.

Catholicos-Patriarch of All Georgia

04.07.2020.

— 1tv.ge